საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2010 წლის 11 ოქტომბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 17

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ძირითად შტატზე მომუშავე აკადემიური პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

– პროფესორი - 10. 00 ლარი
– ასოცირებული პროფესორი - 9. 00 ლარი
– ასისტენტ-პროფესორი - 8. 00 ლარი

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

- მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო - აკადემიური ხარისხის მქონე და დოქტორანტი - 9. 00 ლარი
- მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო და აკადემიური ხარისხის გარეშე - 8. 00 ლარი
- მოწვეული მასწავლებელი - 7. 00 ლარი

1. ქ. თბილისიდან მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზაღაურება განისაზღვროს :
   - სრული პროფესორი; მეცნიერ-მუშაკი - 30 ლარი;
   - ასოცირებული პროფესორი - 25 ლარი;
   - ასისტენტ-პროფესორი; მოწვეული სპეციალისტი - 20 ლარი.

2. მასტერკლასი - 100 ლარი;
   საჯარო ლექცია - 100 ლარი;

5. ქ. ბათუმის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული პროფესორების საათობრივი ანაზღაურება განისაზღვროს ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორების საათობრივი ანაზღაურებისათვის დადგენილი ოდენობით.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**